

იხა 1

დარჩენილი დრო 0:59:58

დამალე

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაცია არის:

- ☐ a. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ახორციელებს საკუთარი ბიუჯეტის პროექტის მომზადებას
- ☐ b. მხარჯავი დაწესებულება ან მის დაქვემდებარებაში მყოფი ერთეული, რომელიც ფინანსდება მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან
- ☐ c. საქართველოს ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული და მის მიმართ ანგარიშვალდებული ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში ასიგნებების განკარგვის უფლებამოსილება.

კითხვა 2

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

რა არის საბიუჯეტო ასიგნება?

- ☐ a. გასული წლების მიხედვით ბიუჯეტში დასაბრუნებელი თანხები
- ☐ b. საბიუჯეტო წელს მხარჯავი დაწესებულების მიერ ბიუჯეტიდან ზედმეტად მიღებული და უკან დასაბრუნებელი თანხები
- ☐ c. მოცემულ საბიუჯეტო წელს, მხარჯავი დაწესებულების მიერ ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების ხარჯვის უფლება.

კითხვა 3

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო კლასიფიკაცია მოიცავს:

- ☐ a. ორივე პასუხი სწორია.
- ☐ b. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციას;
- ☐ c. ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივების კლასიფიკაციას, ბუღალტრულ ანგარიშთა კლასიფიკაციას;

კითხვა 4

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური აქტივები მოიცავს:

- ☐ a. ფულად სახსრებს, ფინანსურ მოთხოვნებს და საქონელსა და მომსახურებაზე მოთხოვნებს.
- ☐ b. მხოლოდ ფულად სახსრებს
- ☐ c. ფულად სახსრებს, არაფინანსურ აქტივებს და ვალდებულებებს



კითხვა 5

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით გრანტი არის:

- ☐ a. მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ფულადი სახსრები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;
- ☐ b. უცხო ქვეყნების მთავრობებიდან გამოყოფილი გრძელვადიანი სესხები რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;
- ☐ c. უსასყიდლოდ მიღებული მიზნობრივი სახსრები, რომელიც გამოიყენება: ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული და სხვა პროგრამების განსახორციელებლად;

კითხვა 6

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სახელმწიფო ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაცია გულისხმობს ხარჯების დაჯგუფებას შემდეგი მიმართულებების მიხედვით:

- ☐ a. საქონელი და მომსახურება
- ☐ b. შრომის ანაზღაურება
- ☐ c. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

კითხვა 7

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯები იყოფა შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ☐ a. სოციალური უზრუნველყოფა და ჯანმრთელობის დაცვა
- ☐ b. პროცენტები, სუბსიდიები, გრანტები და ბიუჯეტიდან დაფინანსება
- ☐ c. შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება, ძირითადი კაპიტალის მოხმარება

კითხვა 8

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან ძირითადი საშუალებები გადაეცა იგივე დონის ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ძირითადი საშუალებების გადამცემ ორგანიზაციაში.

- ☐ a. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- ☐ b. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
კრედიტი 2100 „ძირითადი აქტივები“
- ☐ c. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“
კრედიტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“



კითხვა 9

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციიდან სატრანსპორტო საშუალებები გადაეცა ადგილობრივ ბიუჯეტზე მყოფ ორგანიზაციას. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება სატრანსპორტო საშუალებების მიმღებ ორგანიზაციაში:

- ☐ a. დებეტი 7620 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- ☐ b. დებეტი 2121 „სატრანსპორტო საშუალებები“
კრედიტი 6320 „გრანტები სასაქონლო ფორმით“
- ☐ c. დებეტი 2100 „ძირითადი აქტივები“
კრედიტი 5100 „წმინდა ღირებულება“

კითხვა 10

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციის ბალანსიდან სიძველის გამო ჩამოწერილია შენობა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
კრედიტი 2110 „შენობა-ნაგებობები“
- ☐ b. დებეტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
- ☐ c. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“
კრედიტი 2110 „შენობა-ნაგებობები“



კითხვა 11

ჯერ პასუხგაცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

როგორ გატარდება ბუღალტრულად სატრანსპორტო საშუალებებზე ცვეთის (ამორტიზაციის) დარიცხვა?

- ☐ a. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“
კრედიტი 2121 „სატრანსპორტო საშუალებები“
- ☐ b. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
კრედიტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“
- ☐ c. დებეტი 7310 „ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთა“
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“

კითხვა 12

ჯერ პასუხგაცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

შეძენილია მატერიალური მარაგები, რომელიც აღებული იქნა შემოსავალში. თანხა ხაზინიდან გადარიცხული არ არის. ასახეთ ბუღალტრულად მარაგების შემოსავალში აღება:

- ☐ a. დებეტი 2227 „მატერიალური მარაგები“,
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“,
- ☐ b. დებეტი 2227 „მატერიალური მარაგები“,
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“,
- ☐ c. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“,
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“,



კითხვა 13

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციის საწყობიდან ექსპლოატაციაში გადაეცა მცირეფასიანი საგნები, რომელიც იმავდროულად ჩამოიწერა ხარჯებში. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“
- ☐ b. დებეტი 1450 მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ
კრედიტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
- ☐ c. დებეტი 7300 ძირითადი კაპიტალის მოხმარება
კრედიტი 1627 „სხვა მატერიალური მარაგები“

კითხვა 14

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

გადახდის განსახორციელებლად ორგანიზაცია სახელმწიფო ხაზინაში წარადგენს დოკუმენტაციას შემდეგი რიგითობით:

- ☐ a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- ☐ b. ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა, საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება.
- ☐ c. საგადახდო მოთხოვნის წარდგენა, წინასწარი გადახდის დამოწმება, ვალდებულების დოკუმენტის წარდგენა



კითხვა 15

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

გადახდაზე ვალდებულების აღება არის:

- ☐ a. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ წინასწარ გადასახდელი თანხები
- ☐ b. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის გადახდაზე პასუხისმგებლობის აღება საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ.
- ☐ c. საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ სახელმწიფო ხაზინაში დადგენილი წესით ვალდებულების რეგისტრაცია

კითხვა 16

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციამ მიმწოდებლებს ხაზინიდან წინასწარ გადაურიცხა თანხა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება თანხის წინასწარ გადარიცხვაზე:

- ☐ a. დებეტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ b. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ c. დებეტი 2132 „არამატერიალური ძირითადი აქტივები“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“



კითხვა 17**ჯერ პასუხგაცემელი****გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00**

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციაში ანგარიშვალდებულმა პირმა წარმოადგინა დოკუმენტები მასალების შეძენაზე. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება მასალების შემოსავალში აღებაზე.

- ☐ a. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
კრედიტი 1450 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“
- ☐ b. დებეტი 1621 „მასალები“
კრედიტი 1450 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“
- ☐ c. დებეტი 1621 „მასალები“
კრედიტი 7200 „საქონელი და მომსახურება“



კითხვა 18**ჯერ პასუხგაუცემელი****გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00**

v1 (latest)

მივლინებულმა პირმა 1000 ლარზე წარმოადგინა ანგარიში (დოკუმენტები) გაწეული ხარჯების შესახებ, ხოლო 400 ლარი დააბრუნა სალაროში. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

- ☐ a. დებეტი 7220 „მივლინების ხარჯები“ 1000
დებეტი 1110 „სალარო“ 400
კრედიტი 1461 „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 1400
- ☐ b. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 1400
დებეტი 1110 „სალარო“ 400
კრედიტი 7820 „სხვადასხვა ხარჯები“ 1000
- ☐ c. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“ 1400
კრედიტი 1461 „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 1400
კრედიტი 7820 „სხვადასხვა ხარჯები“



კითხვა 19

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დარიცხულია გაცემული სესხის მიხედვით მისაღები პროცენტები. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

- ☐ a. დებეტი 1351 „მისაღები პროცენტები“
კრედიტი 6411 „მიღებული პროცენტები“
- ☐ b. დებეტი 1351 „მისაღები პროცენტები“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ c. დებეტი 1410 „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
კრედიტი 6450 „სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები“

კითხვა 20

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციამ ბიუჯეტში გადარიცხა მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან დაკავებული საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 7110 „ხელფასები“
კრედიტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“
- ☐ b. დებეტი 7110 „ხელფასები“
კრედიტი 1110 „სალარო“
- ☐ c. დებეტი 3243 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“



კითხვა 21

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

მიმწოდებლებზე გადარიცხულია მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულება. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
კრედიტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
- ☐ b. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“
- ☐ c. დებეტი 3210 „ვალდებულებები მიწოდებიდან“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“

კითხვა 22

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დარიცხულია საბიუჯეტო ორგანიზაციის მოსამსახურეთა ხელფასი. თანხა გადარიცხული არ არის. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ხელფასის დარიცხვაზე.

- ☐ a. დებეტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ b. დებეტი 7110 - „ხელფასის ხარჯი“
კრედიტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“
- ☐ c. დებეტი 1430 „მოთხოვნები წინასწარი გადახდებით“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“



კითხვა 23

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დაკავებულია მოსამსახურეთა ხელფასიდან საშემოსავლო გადასახადი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 7110 „ხელფასები“
კრედიტი 1110 „სალარო“
- ☐ b. დებეტი 3243 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ c. დებეტი 3251 „გადასახდელი ხელფასები“
კრედიტი 3243 „გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი“

კითხვა 24

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ხარჯების ეკონომიკური შინაარსის მიხედვით დაჯგუფება მოცემულია:

- ☐ a. ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციაში
- ☐ b. ხარჯების ფუნქციონალურ კლასიფიკაციაში
- ☐ c. ხარჯების პროგრამულ კლასიფიკაციაში



კითხვა 25

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დარიცხულია შტატგარეშე მომუშავეთა ხელფასი. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება:

- ☐ a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- ☐ b. დებეტი 3252 „გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეებისათვის“ კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“
- ☐ c. დებეტი 7210 „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ კრედიტი 3252 „გადასახდელი ხელფასები შტატგარეშე მომუშავეებისათვის“

კითხვა 26

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სამშენებლო ორგანიზაციას ავანსად გადაერიცხა 850 000 ლარი. შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 800 000 ლარი. ბიუჯეტში დაბრუნდა 50 000 ლარი. ასახეთ ბუღალტრულად უკან დაბრუნებული თანხით ბიუჯეტის საკასო ხარჯების შემცირება:

- ☐ a. ებეტი „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი
კრედიტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“ 50 000 ლარი
- ☐ b. დებეტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი
კრედიტი 1461 „მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით“ 50 000 ლარი
- ☐ c. დებეტი 4100 „ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება“ 50 000 ლარი
კრედიტი 1250 „ანგარიში ხაზინაში“ 50 000 ლარი

კითხვა 27

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბუჯეტო ორგანიზაციამ მიმდინარე წლის ოქტომბერში გადაიხადა მომდევნო წლის ოქტომბრამდე კუთვნილი საიტარო ქირა 36000 ლარი. მიმდინარე წლის საკასო და ფაქტიური ხარჯები შეადგენს:

- ☐ a. საკასო ხარჯი - 36000 ლარი. ფაქტიური ხარჯი - 36000 ლარი.
- ☐ b. საკასო ხარჯი - 36000 ლარი. ფაქტიური ხარჯი - 9000 ლარი
- ☐ c. მიმდინარე წლის ფაქტიური ხარჯი - 9000 ლარი, მომავალი წლის საკასო ხარჯი - 27000 ლარი

კითხვა 28

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბუჯეტო ორგანიზაციის მიერ კვარტლის განმავლობაში მცირეფასიანი საგნების შესაძენად გადარიცხული იქნა 20000 ლარი. მცირეფასიანი საგნები მიღებულია და აღებულია შემოსავალში №1 საწყობში. იმავე პერიოდში №1 საწყობიდან 15000 ლარის მცირეფასიანი საგნები გადაეცა №2 საწყობს. განსაზღვრეთ საკასო და ფაქტიური ხარჯების მოცულობა.

- ☐ a. საკასო ხარჯი შეადგენს 20000 ლ. ფაქტიური ხარჯი - 15000ლ.
- ☐ b. საკასო ხარჯი შეადგენს 15000 ლ. ფაქტიური ხარჯი - 20000ლ.
- ☐ c. საკასო ხარჯი შეადგენს 20000 ლ. ფაქტიური ხარჯი - 0 ლ.



კითხვა 29

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საოპერაციო შემოსავლების აღიარება ხდება:

- ☐ a. საკასო მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლებას აღიარებას ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების მომენტში, მიუხედავად იმისა თანხა მიღებულია თუ არა;
- ☐ b. დარიცხვის მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლების აღიარებას თანხის მიღების შემდეგ;
- ☐ c. დარიცხვის მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლების აღიარებას ამ შემოსავლების მიღების უფლების მოპოვების მომენტში, მიუხედავად იმისა თანხა მიღებულია თუ არა ან საკასო მეთოდით, რომელიც გულისხმობს შემოსავლებას აღიარებას თანხის მიღების შემდეგ.

კითხვა 30

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საბიუჯეტო ორგანიზაციის ძირითადი საშუალებები, რომელთა ნარჩენი ღირებულება შეადგენდა 100000 ლარს, გადაფასებული იქნა 20%-ით. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ფასმატების თანხაზე:

- ☐ a. დებეტი 2100 „ძირითადი საშუალებები“
კრედიტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“
- ☐ b. დებეტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“
კრედიტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
- ☐ c. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
კრედიტი 2100 „ძირითადი საშუალებები“

კითხვა 31

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სამეურნეო საქმიანობის პროცესში ერთი სახის აქტივი გადატანილი იქნა სხვა კატეგორიაში, მაგალითად, ძირითადი საშუალებები - მატერიალურ მარაგებში. ასეთი ცვლილება განიხილება:

- ☐ a. აქტივების გაზრდად;
- ☐ b. აქტივების შემცირებად
- ☐ c. აქტივების ან ვალდებულებების რეკლასიფიკაციად, რომელიც შეიძლება განპირობებული იყოს მათი გამოყენების მიზნობრიობის შეცვლით;

კითხვა 32

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ინვენტარიზაციის შედეგად აღმოჩენილია სათადარიგო ნაწილების ზედმეტობა. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება.

- ☐ a. დებეტი 7200 „საქონელი და მომსახურება“
კრედიტი 2226 „სათადარიგო ნაწილები“
- ☐ b. დებეტი 2226 „სათადარიგო ნაწილები“
კრედიტი 1420 „მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ“
- ☐ c. დებეტი 2226 „სათადარიგო ნაწილები“
კრედიტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“



კითხვა 33

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ 200 000 ლარი შეადგინა. ამავე პერიოდში გაწეულმა ხარჯებმა 150 000 ლარი, მათ შორის ნორმის ზევით გაწეულმა ხარჯებმა -5 000 ლარი. საანგარიშო წლის მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთის პირობებში არის:

- ☐ a. 8250 ლარი,
- ☐ b. 7500 ლარი,
- ☐ c. 8000 ლარი

კითხვა 34

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ხელფასის დარიცხვა ნიშნავს:

- ☐ a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- ☐ b. საკასო ხარჯის გაწევას;
- ☐ c. ფაქტიური ხარჯის გაწევას;



კითხვა 35

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბიუჯეტში გადაირიცხება:

- ☐ a. მიმწოდებლებზე გადახდილი დღგ-ს თანხა;
- ☐ b. მომსახურებიდან მიღებული დღგ-ს მთლიანი თანხა;
- ☐ c. მიღებულ და გადახდილ დღგ-ს თანხებს შორის სხვაობა.

კითხვა 36

ჯერ პასუხაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

სხვადასხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად, შემცირდა მატერიალური ფასეულობების ღირებულება. შეადგინეთ ბუღალტრული გატარება ფასეულობების შემცირებაზე:

- ☐ a. დებეტი 4100 „დაფინანსება ბიუჯეტიდან“
კრედიტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
- ☐ b. დებეტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“
კრედიტი 1600 „მატერიალური მარაგები“
- ☐ c. დებეტი 8100 „არასაოპერაციო შემოსავლები“
კრედიტი 8200 „არასაოპერაციო ხარჯები“



კითხვა 37

ჯერ პასუხგაცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ფინანსური ანგარიშგება შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან:

- ☐ a. შემოსავლები და ხარჯები
- ☐ b. ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (ბალანსი); ანგარიშგება ფინანსური შედეგების შესახებ
- ☐ c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

კითხვა 38

ჯერ პასუხგაცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია:

- ☐ a. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება
- ☐ b. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ
- ☐ c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი



კითხვა 39

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია:

- ☐ a. შემოსავლები და ხარჯები
- ☐ b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი
- ☐ c. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

კითხვა 40

ჯერ პასუხგაუცემელი

გამოანგარიშებულია შემდეგი რაოდენობიდან 1.00

v1 (latest)

ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგების ელემენტებია:

- ☐ a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- ☐ b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი
- ☐ c. შემოსავლები და ხარჯები

